



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №13

2018 წლის 22 იანვარი  
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილებაში (კვბ. გვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 17/11/2017 სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.138.016282) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 და დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

### მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ნოზაძე